

გალი ქართულ და აფხაზურ ისტორიულ წარმოსახვებში: ორმაგი
მარგინალობის ანატომია

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2022

სტატია მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „სამშვიდობო პოლიტიკის პოზიტიური ტრანსფორმაცია კვლევისა და ადვოკატირების გზით“. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

ავტორი: მალხაზ თორია

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

შესავალი: გალი - აფხაზური „კვაზი სახელმწიფოს“ დილემა

ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება და პოლიტიკური ელიტა ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის (1992-1993) შედეგების, თბილისის კონტროლიდან გასვლასა და ეთნიკური წმენდის ლეგიტიმაციას ცდილობს. შეიძლება ითქვას, აფხაზეთის „კვაზი სახელმწიფოს“ (Kolstø, 2006) არსებობას განსაზღვრავს ეთნიკური ჰომოგენიზაციის პროექტი, რომელსაც საფუძვლად უდევს აფხაზური პრიმორდიალური ისტორიული ნარატივი და წარმოდგენები. აფხაზურ საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი შეხედულებების თანახმად, მდინარე ფსოუსა და ენგურს შორის მთლიან ტერიტორია ისტორიულად მონოეთნიკური აფხაზური სივრცე იყო და მომავალშიც ასე უნდა იყოს. თუმცა, დე-ფაქტო რეჟიმის ეთნიკური ჰომოგენიზაციის გეგმების ბოლომდე განხორციელებას ხელს უშთავრესად ქართველებით დასახლებული გალის რაიონი უშლის. გალი ერთადერთი რაიონია აფხაზეთში, რომლის მოსახლეობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტამდე უმთავრესად ქართველებისგან შედგებოდა. ომის დასრულების შემდეგ სხვადასხვა მონაცემით ორმოციდან სამოც ათასამდე ადგილობრივი ქართველი დაუბრუნდა იქ თავის სახლ-კარს (ICG, 2010; HRW, 2011). ის, თუ რა მოუხერხონ გალელ ქართველებს, ხელი შეუწყონ მათ „ინტეგრაციას“ აფხაზურ „სახელმწიფოში“ თუ მიუდგნენ მათ, როგორც პოტენციურ მეხუთე კოლონას, გადაუჭრელ დილემად იქცა აფხაზებისთვის. შესაბამისად, გალის ქართული მოსახლეობის „ლეგალური“ სტატუსი და უფლებები მუდმივი დისკუსიისა და პოლიტიკური მანიპულაციის საგანია დე-ფაქტო ხელისუფლებაში, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ზოგადად, აფხაზურ საზოგადოებაში.

ადმინისტრაციულ და, შეიძლება ითქვას, ბიო-პოლიტიკის (Foucault 1984) დონეზე ეს დამოკიდებულება ცხადად ჩანს ე.წ. „უცხოელ მოქალაქეთა შესახებ კანონში“, რომელიც გალის მაცხოვრებლებს უცხოელი მოქალაქეების კატეგორიის ქვეშ ანაწილებს. კანონი გალელებს ბინადრობის უფლებას აძლევს, თუმცა, მთელ რიგ ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის, თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას და, რაც მთავრია, უძრავი ქონების ყიდვის და ფლობის უფლებას ართმევს. ეს პრივილეგია, მხოლოდ „აფხაზეთის მოქალაქეს“ ეკუთვნის.

ეს დისკრიმინაციული რეგულაციები უნდა განვხილოთ, გალის მოსახლეობაზე ღრმა „სტრუქტურული“ (Galtung 1971) და „სიმბოლური“ (Bourdieu 1986) ძალადობის იმ გამოვლინებად, რომელიც მათი ქართული იდენტობის შეცვლას, ან დასუსტებას ისახავს მიზნად. სწორედ

დომინანტური ისტორიული ცოდნა განსაზღვრავს აფხაზური იდენტობის პოლიტიკას გალის რაიონში. ამ პოლიტიკის მთავარი მიმართულებებია საჯარო სკოლებში ქართული ენაზე სწავლების აღმოფხვრა; მეგრული ენისა და იდენტობის ფაქტორის აქტუალიზება; ე.წ. სამურზაყანოელთა დავიწყებული აფხაზური იდენტობის და მეხსიერების რეანიმაცია დაბოლოს, თითქოსდა „ნამდვილად“ არააფხაზი მოსახლეობის, ანუ მეგრელების მიერ მათი აფხაზეთში სტუმრის სტატუსის „გათავისება“. ამგვარად, გალის მოსახლეობაზე „ეპისტემური ძალადობა“ (Spivak, 1985), კერძოდ, მათზე ეთნოცენტრული ისტორიული ნარატივის თავს მოხვევა დე-ფაქტო ხელისუფლების ძალაუფლების რეპერტუარში სუსტი და მოწყვლადი ჯგუფის განდევნას (ეთნიკური წმენდა), გამიჯვნას და სეგრეგაციას (ადამიანის ფუნდამენტური უფლებების წართმევა) ან ასიმილაციასა (ე.წ. იდენტობის აღდგენა) და საბოლოოდ, აფხაზური „კულტურული ჰეგემონიის“ (Gramsci 1971) ლეგიტიმაციას ისახავს მიზნად.

ამ დროს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ის, თუ რა პოლიტიკა აქვს გალის მიმართ ქართულ სახელმწიფოს და ზოგადად, რა ადგილი უკავია გალელების პრობლემებს ქართულ საზოგადოებრივ აზრსა, თუ გალი და აფხაზეთი ზოგადად ქართულ ისტორიულ წარმოდგენებში საქართველოს განუყოფელი ნაწილია. იგი რუსეთის მიერ დროებით არის ოკუპირებული და მოგლეჯილი დედა სამშობლოს. საქართველო ერთგვარი „გეოსხულია“ (Kabachnik 2012) და „დროებით დაკარგული ტერიტორიები“ სისხლმდინარე ჭრილობებია, რომელიც მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ შეხორცდება. ამ წმინდად სიმბოლური რეპრეზენტაციის მიღმა გალის მოსახლეობის საჭიროებები მთლიანობაში, ნაკლებად აისახება სახელმწიფოს რეალურ ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში. ეს ეხება პირველ რიგში ჯანდაცვისა და სოციალური უზურნველყოფის სფეროში არსებულ მწვავე პრობლემებს; კონფლიქტის გამყოფ ხაზზე გადაადგილების უფლებას, აფხაზური დისკრიმინაციის წინააღმდეგ გარკვეული ზომების მიღებას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან და ა.შ. თუმცა, მთლიანობაში, გალელები ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია, რომელსაც აქვს ორმაგი გარიყულობის განცდა. სოხუმის დისკრიმინაციული პოლიტიკის ფონზე გალელები ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოებისგანაც ვერ გრძნობენ სათანადო ყურადღებას.

ამგვარად, აფხაზურ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში უმთავრესი ადგილი უჭირავს გალის, ისევე როგორც მთლიანად აფხაზეთის, როგორც ეთნიკური სივრცის კონსტრუირებას. ვის ეკუთვნის ეს ტერიტორია? ვის აქვს პირველმოსახლის და შესაბამისად, ამ მიწის ისტორიული პატრონის სტატუსი, აფხაზებს თუ ქართველებს? მსგავსი

კითხვები უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ადამიანების გაუსაძლისი ყოფა. აფხაზური და ქართული ტერიტორიული ნაციონალიზმი დიდწილად საბჭოთა იმპერიის ეთნო-ფედერალური სტრუქტურისა და ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკის მემკვიდრეობაა. კერძოდ, ადამიანების უფლებების კონკრეტულ ტერიტორიაზე მასპინძლის თუ სტუმრის სტატუსთან მიხედვით, ეთნიკური კატეგორიზაციის და იერარქიული ნაციონალიზმის საბჭოთა ტრადიცია კიდევ უფრო რადიკალური ფორმით გრძელდება.

ეთნიკური სივრცის და აფხაზური კულტურული ჰეგემონიის კონსტრუირება

აფხაზი ისტორიკოსები და დე-ფაქტო ხელისუფლება ე.წ. „სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთის“, იგივე ისტორიული სამურზაყანოს და თანამედროვე გალის რაიონის მოსახლეობის ნაციონალური თვითშეგნების პრობლემებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ეთნიკური ჰომოგენიზაციის იდეის კონტექსტში. მათი შეხედულებით, სამურზაყანოში აფხაზური ენის, კულტურის და ნაციონალური თვითშეგნების რეანიმაცია ძალიან რთულად განსახორციელებელი ამოცანაა, მაგრამ მისი პრაქტიკული რეალიზება „დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს“ წმინდა მოვალეობაა (Аყтრა, 2010).

ამ „მისიის“ შეგნება განსაზღვრულია აფხაზური ისტორიული ნარატივით და წარმოდგენებით, რომელთა მიხედვით, მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებამდე მდინარე ენგური ქართულ და აფხაზურ სამყაროებს შორის ბუნებრივ და ლამის გადაუღალახავ საზღვრად რჩებოდა. ამ პერიოდში, რუსეთის იმპერიულმა მმართველობამ აფხაზები მასობრივად გაასახლა თურქეთში. „აფხაზთა მუჰაჯირობად“ წოდებული ტრაგედიის შემდეგ, აფხაზეთში რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან კოლონისტების ჩასახლების მიზანმიმართული პროცესი დაიწყო. აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობისგან დაცარიელებით ისარგებლეს, აგრეთვე, ქართველებმაც და თანამემამულეების, კერძოდ, მეგრელების, ჩასახლების საკუთარი გეგმის განხორციელებას შეუდგნენ. „ქართულმა კოლონიზაციამ“ განსაკუთრებულად ინტენსიური ხასიათი მიიღო საბჭოთა პერიოდში, 1930-50 იან წლებში. საბოლოოდ, მე-20 საუკუნეში ქართველებმა აითვისეს „შიდა“ აფხაზეთი, რამაც დემოგრაფიული კატასტროფა გამოიწვია. აფხაზები საკუთარ სამშობლოში უმცირესობა გახდნენ. ამ პერსპექტივის თანახმად, გალი, ისტორიული სამურზაყანო, როგორც მოსაზღვრე ტერიტორია, ქართული ეთნოსის აფხაზეთში შემოჭრის ძირითადი პლაცდარმი იყო და

სწორედ იქ მიაღწიეს ქართველებმა პირველად დემოგრაფიული სურათის შეცვლას. ეს ხდებოდა არა მხოლოდ მეგრელების ექსპანსიით, არამედ, „სტალინის და ბერიას დროს“, უშუალოდ ადგილობრივი აფხაზების ქართველებად ჩაწერისა და ძალდატანებითი ასიმილაციის შედეგად. თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, გალში ჯერ კიდევ შემორჩენილია აფხაზური თვითშეგნების ნარჩენები (Aყyrna 2010)

აფხაზური ელიტა სარგებლობს საბჭოთა იმპერიის დროს შემუშავებული ეთნიკური კატეგორიზაციის, კლასიფიკაციის და ზოგადად, იერარქიული და პრიმორდიალური ნაციონალიზმის მექანიზმებით. ფრ. ფანონის (Fanon 1963) არგუმენტებს რომ დავესესხოთ, კოლონიური ჩაგვრისგან „გათავისუფლებულ“ საზოგადოებებს ხანგრძლივად გასდევს იმპერიის სტრუქტურული და სისტემური მემკვიდრეობა. როგორც წესი, ხდება კოლონიალიზმის დროინდელი ჩაგვრისა და ძალადობის მძიმე მემკვიდრეობის „ინტერნალიზება“.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა, ე.წ. „კორენიზაცია“, საბჭოთა კავშირში არარუსი ხალხების ეთნოკულტურულ კატეგორიზაციას და ადმინისტრაციულ დაყოფას დაედო საფუძვლად. ბოლშევიკების, მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ფილოსოფიით ნასაზრდოები ოფიციალური „ევოლუციონიზმი“ (Hirsch 2005) საბჭოთა კავშირში მოსახლე არარუსი ხალხების ეროვნული ცნობიერების განვითარებას ითვალისწინებდა. ისტორიულ-მატერიალისტური ხედვით, სოციალიზმზე გადასასვლელად აუცილებელი იყო ნაციონალიზმის ეტაპის გავლა. შესაბამისად, გეგმიურად და ცენტრალიზებულად მიმდინარეობდა ეთნო-ლინგვისტური ჯგუფებისთვის ნაციონალური იდენტობის სიმბოლური მარკერების (ფოლკლორი, სამოსი, კულინარია, მუზეუმები, ოპერა, თეატრი, ლიტერატურა, ისტორიოგრაფია და ა. შ) გაძლიერება, ან შექმნა (Martin, 2001: 13). ეროვნული იდენტობის ქვაკუთხედი იყო „სამშობლოს“, ანუ თითოეული „მკვიდრი“ ეთნიკური ჯგუფისთვის ან ერისთვის ადმინისტრაციული თვალსაზრისით მკაფიოდ შემოსაზღვრული ტერიტორიის განცდა. საბოლოოდ, ამ პრინციპების საფუძველზე ჩამიყალიბდა საბჭოთა კავშირი, როგორც იერარქიული ეთნო-ფედერალური სტრუქტურა. მაგალითად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში „სატიტულო“ ერის სტატუსი ქართველებს ჰქონდათ. ამასთან, აფხაზებმა, როგორც მეორე რიგის სატიტულო ეთნო-ლინგვისტურმა ჯგუფმა საქართველოს სსრ-ს ფარგლებში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიიღეს. საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის სწორედ ამ თავისებურებაში უნდა ვეძებოთ ქართული და აფხაზური ისტორიული ნარატივების გენეალოგია. ორივე ისტორიოგრაფიული

ტრადიცია ასაზრდოებს ისტორიულ წარმოსახვებს აფხაზეთის, როგორც ერთი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის (აფხაზების თუ ქართველების) ექსკლუზიური „ეთნოსივრცის“ შესახებ.

აფხაზეთში საბჭოთა მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობა ასევე განპირობებულია თანამედროვე გეოპოლიტიკური კონიუნქტურით. ცხადია, ერთ-ერთი ცენტრალური ფაქტორი თანამედროვე რევიზიონისტული რუსეთის ე.წ. „ახლო სამეზობლო“ პოლიტიკაა. „ახლო სამეზობლოში“ გარკვეული გეოპოლიტიკური სივრცე იგულისხმება, რომელიც პოსტკოლონიურ სიტუაციაში ჩამოყალიბდა (Toal, 2017). რუსული იდეოლოგია, განსაკუთრებით ვ. პუტინის მმართველობის პირობებში, ამ სივრცეს „რუსულ სამყაროდ“ შემოფარგლავს, სადაც კონცენტრირებულია ყოფილი თუ „ფეხზე წამომდგარი“ იმპერიული მეტროპოლიის მიმართ ლოიალური მოსახლეობა (Toal 2017, 9).

„რუსული სამყარო“ ფართო და კომპლექსური გეოპოლიტიკური და ცივილიზაციური კონსტრუქტია. მას, როგორც დასავლეთის ალტერნატიურ და თვითკმარ სამყაროს გამოარჩევს გარკვეული ტიპოლოგიური მახასიათებლები, მათ შორის - რუსული ენა, როგორც ლინგვა ფრანკა; საზიარო ისტორიული მემკვიდრეობა; სპეციფიკური მენტალიტეტი და ღირებულებათა სისტემა; მართმადიდებლური ქრისტიანობა და სულიერება. უფრო ფართოდ, რუსული სამყაროს ნაწილად მოიაზრება არა მარტო სლავური წარმოშობის და მართლმადიდებელი აღმსარებლობის ხალხები, არამედ ყველა ის ეთნიკურად, კულტურულად და რელიგიურად ჭრელი ერთობა, რომელსაც რუსეთის და საბჭოთა იმპერიაში თანაცხოვრების გამოცდილება აქვს. „რუსული სამყაროს“ იდეა ასაზრდოებს ვ. პუტინის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე რევიზიონისტული რუსეთის გავლენის აღდგენისაკენ.

კრემლის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერა რუსული სამყაროს პოლიტიკის ნაწილია. 2008 წლის აგვისტოს ომს რუსული პროპაგანდა სწორედ ნატოსთან და დასავლეთთან დაპირისპირებად წარმოაჩენს. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებაც „დასავლეთის მარიონეტი“ საქართველოს ხელისუფლების აგრესიისგან აფხაზების და ოსების დაცვის მიზნით გადადგმულ ნაბიჯებად სადღეობა.

მოსკოვს სოხუმთან და ცხინვალთან გაფორმებული აქვს „მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების“ (2008), ასევე „სტრატეგიული თანამშრომლობის“ (2014; 2015) ხელშეკრულებები (Ambrosio and Lange 2016, 674). რუსეთმა თავის თავზე აიღო ამ წარმონაქმნებსა და დანარჩენ საქართველოს შორის ე.წ. საზღვრის დაცვის და კონტროლის ფუნქცია. ამგვარად, 2008 წლის აგვისტოს „რუსეთ-საქართველოს“ ომის მერე აფხაზებს

სრული კარტ ბლანში აქვთ გალში იდენტობის პოლიტიკის საწარმოებლად, რადგან არ არსებობს თბილისიდან მომავალი სამხედრო საფრთხე.

ამგვარად, გალის რაიონში დე-დაქტო ხელისუფლების პოლიტიკა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც თანამედროვე რევიზიონისტული რუსეთის კოლონიის, და, როგორც ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონშია მიღებული, „მარიონეტული რეჟიმის“ მიერ გალის მოსახლეობის „შიდა კოლონიზაციის“ (Etkind 2011) თუ „ორიენტალიზების“ მცდელობა. ეს ძალისხმევა პირდაპირ დისკრიმინაციასთან ერთად გალის მოსახლეობის მიმართ სიმბოლურ ძალადობისა და მასზე კულტურული ჰეგემონიის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული. ამ კონტექსტში, აფხაზების და რუსეთის მიმართ არაკეთილგანწყობილი ქართველების „მოთვინიერება“ გალში მოსკოვის და სოხუმის ინტერესებს ემთხვევა. იმპერიალიზმის სტრუქტურის კონტექსტში შეიძლება ვისაუბროთ ორი ცენტრის ინტერესების ჰარმონიაზე (Galtung 1971). ერთი მხრივ, აფხაზები გარკვეულწილად პროქსი ძალის ფუნქციას ასრულებენ პუტინის რუსეთის იმპერიული ამბიციების რეალიზებაში „ახლო სამეზობლოში“. მეორე მხრივ, რუსული სამხედრო ძალა და ადგილობრივი რეპრესიული აპარატი ჩართულია გალის რაიონში აფხაზური ეთნოცენტრული და დისკრიმინაციული, ლამის „აპარტიდული“ გეგმების განხორციელებაში.

აფხაზური პერსპექტივით, ეს არის ყოფილი კოლონისტებისგან დარჩენილი მოსახლეობის, ერთგვარი მეხუთე კოლონიის მოთვინიერების მცდელობა. ამ თვალსაზრისით როლები შეცვლილია: ომში დამარცხებული ყოფილი კოლონისტები ახლა თვითონ არის იმ ეთნიკური ჯგუფის დომინირების ქვეშ, რომლის ჩაგვრასაც მათი წინაპრები ცდილობდნენ სტალინის და ბერიას დროს.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დე-ფაქტო ელიტას, გალის რეალური კოლონიზაციის, ანუ ეთნიკური აფხაზების ჩასახლების გზით იქ დემოგრაფიული სურათის შეცვლის რესურსი არ აქვს. თურქეთში და ახლო აღმოსავლეთში მაცხოვრებელი აფხაზების, მუჰაჯირების შთამომავლების, რეპატრიაციის პერიოდულ მცდელობებს სერიოზული შედეგი ჯერ-ჯერობით არ გამოუღია. შესაბამისად, მთავარი დატვირთვა კეთდება გალის სიმბოლურ ათვისებაზე და იქ ასიმილაციური პოლიტიკის გაძლიერებაზე. ამ შემთხვევაშიც, გალელების გააფხაზება ძნელად მისაღწევია, ვინაიდან აფხაზური ლინგვისტური, კულტურული, საგანმანათლებლო და ზოგადად სიმბოლური რეპერტუარი მწირია იმისთვის, რომ გალის მოსახლეობის საკმაოდ მონოლითური ერთობა ჩაყლაპოს. ამიტომ, ტრადიციულად, ისე როგორც საბჭოთა პერიოდში,

აფხაზების იდენტობის პოლიტიკა ეფექტური შეიძლება იყოს მხოლოდ რუსიფიკაციის პროცესთან ტანდემში.

სწორედ ამ ჭრილში უნდა შევხედოთ გალის რაიონში დე-ფაქტო მთავრობის იდენტობის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს: გალის სკოლებში ქართული ენის აკრძალვა და რუსულ ენაზე სწავლების შემოღება; მეგრული ენის „დაცვის“ თუ განვითარების პოლიტიკა; გალის რაიონში „დავიწყებული“ აფხაზური იდენტობის აღდგენის კამპანია“.

ომის დასრულებიდანვე, დე-ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლების პირველი რიგის ამოცანა გახდა გალის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების თანდათანობით აკრძალვა და სასწავლო პროცესის რუსულ ენაზე გადაყვანა. უკვე საბჭოთა პერიოდში, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში აფხაზეთში გაჩაღებული იყო ცხარე დებატები ლინგვისტურ კორენიზაციასთან დაკავშირებით. საბჭოთა ეროვნული პოლიტიკა ითვალისწინებდა ლოკალურ ენების განვითარების ხელშეწყობას. საკუთრივ ეთნიკურად აფხაზ პარტიულ ხელმძღვანელობას ამბივალენტური პოზიცია ეკავა ამ საკითხთან დაკავშირებით. მათ ესმოდათ, რომ აფხაზურისთვის ოფიციალური ენის სტატუსის მინიჭება ხელოვნური ნაბიჯი იქნებოდა. აფხაზური დამწერლობა დიდი ხნის შექმნილი არ იყო, ამიტომ მას არ შეეძლო ოფიციალური ენის ფუნქცია სრულყოფილად ეტვირთა. განათლებული აფხაზების უმრავლესობისთვის რუსული იყო ადმინისტრაციული და საკომუნიკაციო ენა. თუმცა, იყო სხვა მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც აფხაზები დიდი ენთუზიაზმით არ ხვდებოდნენ ლინგვისტურ კორენიზაციას. ლოკალური ენებისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება აფხაზეთში ქართველობის წახალისებასაც ნიშნავდა. ვინაიდან, აფხაზურისგან განსხვავებით, ქართული განვითარებული სამწერლობო ენაა, აფხაზები შიშობდნენ, რომ მისთვის ოფიციალური ენის სტატუსის მინიჭება აფხაზეთში ქართველების გავლენას გაზრდიდა. ამიტომ აფხაზები შეეცადნენ მხოლოდ რუსული ენის ოფიციალური სტატუსის კონსტიტუციურად დაკანონებას 1925 აპრილში. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე დიდი უკმაყოფილება ამას სწორედ მაშინდელ გალის რაიონში მოყვა (Blauvelt 2014). საბოლოოდ, ქართულსაც და აფხაზურსაც ოფიციალური ენების სტატუსი მიენიჭა.

ჩვენს დროშიც აფხაზები ეთნიკური დომინანტობის მოპოვებას რუსული ენის წინ წამოწევით ცდილობენ. თუ მაშინ აფხაზური ლინგვისტური პროექტის რეალიზება ვერ მოხერხდა, აფხაზებს ახლა, განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ, ხელ-ფეხი გახსნილი აქვთ. დე-ფაქტო ადმინისტრაცია ღიად აწარმოებს რეპრესიულ და დისკრიმინაციულ ლინგვისტურ და განათლების პოლიტიკას გალის რაიონში, რადგან სწორედ

ახლა არის ამ მხარის აფხაზურ ეთნიკურ სივრცედ ქცევის და საბოლოო მოთვინიერების შანსი.

უკვე 1994 წელს რუსულ ენაზე სწავლება ფორმალურად შემოიღეს გალის სკოლებში. თუმცა არაფორმალურად, ადგილობრივი მასწავლებლები, განაკუთრებით ნაკლებად კონტროლირებად, გალის ე.წ. დაბალი ზონის სკოლებში განაგრძობდნენ ქართულ ენაზე სწავლებას. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მათ ნაკლებად, ან საერთოდ არ ჰქონდათ რუსულ ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება. მოწაფეებსაც უჭირდათ რუსულ ენაზე სწავლა. 2015 წლის სექტემბრიდან დე-ფაქტო ადმინისტრაციამ დაიწყო გალის რაიონის ყველა სკოლის მთლიანად რუსულ ენაზე გადაყვანა და ეტაპობრივად შეუდგა ქართული ენისთვის დათმობილი საათების შემცირებას (ზურაბაშვილი 2016). ეს პროცესი თითქმის ბოლომდე იქნა მიყვანილი 2021 წელს, როდესაც „დე ფაქტო განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, გალის რაიონის სკოლებში, ქართული სწავლება მე-11 კლასის ჩათვლით აიკრძალა“ (რადიო თავისუფლება 2021).

საერთაშორისო მისიის წარმომადგენლების ანგარიშში ხშირად იყო აღნიშნული, რომ განათლების სფეროში დე-ფაქტო სელისუფლების რეგულაციების იმპლემენტაცია ქართველების დისკრიმინაციისა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა. მაგალითად, გალის ადმინისტრაციის და ზოგჯერ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებიც კი მოულოდნელად მიდიოდნენ შემოწმებაზე სკოლებში. მათ აინტერესებდათ რუსულ ენაზე სწავლების მდგომარეობა. ზოგიერთმა მასწავლებელმა გაიხსენა, თუ როგორი დათრგუნული შეყურებდნენ მოსწავლეები მოულოდნელ სტუმრებს, რომლებიც მათ ჩანთებში გულმოდგინედ იქექებოდნენ, რათა იქ ქართული სახელმძღვანელოები ეპოვათ (Hammarberg and Grono 2017, 37).

ლინგვისტურ საფუძველზე იმპერიული ეთნიკური კატეგორიზაციის მოდელის გადმოღების მაგალითია მეგრული ენის და ცალკე მეგრული იდენტობის საკითხის წინ წამოწევა. აფხაზი იდეოლოგების რეპერტუარში მეგრულ ენაზე „ზრუნვა“ გალელების ცნობიერებაში ქართულ ეროვნულ ერთობასთან იდენტიფიკაციის მოშლას და აფხაზურ და ქართულ ეთნიკურ სამყაროებს შორის თავისებური კულტურული ბუფერული ზონის შექმნას ისახავს მიზნად. 1993 წელს შეირაღებული კონფლიქტის დასრულებიდან მალევე აფხაზურმა ადმინისტრაციამ დაიწყო სამენოვანი (რუსული, აფხაზური, მეგრული) გაზეთის „გალ“ გამოცემა. აფხაზური ადმინისტრაციის გეგმაში შედის, აგრეთვე, მეგრული ენის სახელმძღვანელოს გავრცელება. გარდა ამისა, ამ მიმართულებით მიზანში

არის ამოდებული პოპულარული სივრცე. მაგალითად, დღეს მოქმედ გალის ტელევიზიაში რუსულ ენაზე ყოველკვირეული საინფორმაციო გამოშვების წამყვანი, როგორც წესი მეგრულად ესაუბრება მაყურებელს. ახალგაზრდულ შემოქმედებით ჯგუფს აქცენტი აღებული აქვს სოციალურ მედიაზე, რომლის მეშვეობით ცდილობს მეგრულ ენაზე საკუთარი იუმორისტული ვიდეო „სკეტჩების“ პოპულარიზაციას.

დე-ფაქტო მთავრობის სიმბოლური ძალადობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ე.წ. სამურზაყანოელი აფხაზების იდენტობის აღდგენის კამპანია გალში. ისტორიული არგუმენტებით ხდება იმის პროპაგანდირება, რომ გალის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წინაპრები თავის დროზე აფხაზები იყვნენ. თუმცა, გალელი აფხაზების გვარები და ეროვნება ძალდატანებით გადაკეთდა სტალინის პერიოდში. ვინც დათანხმდება „ნაციონალური მთვლემარებიდან“ გამოფხიზლებას, „აფხაზურ ფესვებთან“ მიბრუნებას და ეთნიკურ აფხაზად ჩაეწერება, მას მიენიჭება მოქალაქის სტატუსი და შესაბამისი უფლებებით, პირველ რიგში კი უძრავი ქონების და მიწის საკუთრების უფლებით ისარგებლებს. „დაკარგული“ იდენტობის აღდგენის მიზნით, „სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭო“ დაარსდა 2017 წელს. საბჭოს წევრები პერიოდულად მოუწოდებდნენ „აღმოსავლეთ აფხაზეთის“ მოსახლეობას დაუბრუნდნენ ისტორიულ ფესვებს (Torja 2020, 56-57). რაც შეეხება არაგააფხაზებულ გალელებს, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, ეს სეგმენტი ჯერ-ჯერობით, ბინადრობის მოწმობას და სტუმრის სტატუსს უნდა დასჯერდეს. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობის ძირითად ნაწილს ტოტალურ სტრუქტურულ და სიმბოლურ ძალადობასთან შეგუება უწევს. ამასთან, მოსახლეობის მცირე ნაწილი შეიძლება მართლაც „დაარწმუნონ“, და „გაათავისებინონ“ აფხაზური ნარატივი იმაზე, რომ ის სტუმარია და აფხაზების მიწაზე ცხოვრობს. სწორედ სტუმრის სტატუსის „ინტერნალიზება“ და ამის საფუძველზე დისკრიმინაციის ნორმალიზება არის ის, რის მიღწევასაც აფხაზური ადმინისტრაცია ცდილობს.

თუმცა, აფხაზური (კვაზი) სახელმწიფო რეპრესიული აპარატი არ კმაყოფილდება მხოლოდ პასიური მორჩილებით. ის ცდილობს მოსახლეობის გარკვეული სეგმენტი მაინც „ნებაყოფლობით“ დაითანხმოს და ჩართოს დომინანტური იდეოლოგიის კვლავწარმოებაში. მაგალითად, გალში ფუნქციონირებს კულტურის სახლი, რომლის ფარგლებში მოქმედებენ „საბავშვო მუსიკალური, მოცეკვავეთა, თეატრალური ჯგუფები“ (Livepress, 2018). რაიონში იმართება კულტურული ღონისძიებები და ტარდება კონცერტები. როგორც წესი, მუსიკალური რეპერტუარის ძირითადი ნაწილი აფხაზურ ფოლკლორს, ან თანამედროვე პატრიოტულ

სიმღერებს ეთმობა; იუმორისტული და შემოქმედებითი ჯგუფი დგამს „ფლემშობებს“ და სოციალური მედიის მეშვეობით გალში ახალგაზრდების ცხოვრების პოპულარიზაციას ეწევა; გალს ჰყავს თავისი საფეხბურთო კლუბი, რომელიც მონაწილეობს აფხაზეთის ჩემპიონატში; გალზე მზადდება სარეკლამო რგოლები ტურისტების მოსაზიდად და ა.შ. ამ ყველაფერზე აქცენტირებით, აფხაზური ადმინისტრაცია გალის რაიონში აფხაზური კულტურული ჰეგემონურობის ნორმალიზებას და ადგილობრივი მოსახლეობის თითქოსდა უშფოთველი ცხოვრების რეპრეზენტაციას ისახავს მიზნად. შესაბამისად, ხდება გალელების წინაშე მდგარი ფუნდამენტური და სასიცოცხლო პრობლემების მიჩქმალვა.

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ გალელებზე სტრუქტურული ძალადობის სიმძიმეს, 2008 აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზურ არასამთავრობო სექტორის თუ უფლებადამცველი ინსტიტუტების მიერ გალელების „ინტეგრაციის“ საჭიროებებზე საუბარი ცინიკურ მოწოდებად შეიძლება მოგვეჩვენოს. ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტების ნაწილი ხაზს უსვამს აფხაზურ „სახელმწიფოებრივ“ პროექტში ადგილობრივების ნებაყოფლობითი ჩაბმის და ლოიალური გალელი მოქალაქის ფორმირების საჭიროებას. თუმცა, „ინტეგრაციასთან“ დაკავშირებით აფხაზური საზოგადოების შიგნით გაჩენილი ეს იშვიათი, გამონაკლისი და ძალიან სუსტი ხმაც არ გულისხმობს გალელების, როგორც ქართველების, აფხაზეთის საზოგადოების თანაბარ ნაწილად აღიარებას (ყოველ შემთხვევაში, ამაზე რაიმე სახის ჩამოყალიბებული რეფლექსიის შესახებ ჩემთვის ცნობილი არ არის). სამოქალაქო საზოგადოებაც, იმპლიციტურად თუ ღიად, ინტეგრაციაში გულისხმობს გალელების ასიმილაციას, ოღონდ შედარებით ნაკლებად „კოერსიული“ გზით. განსხვავება რეალურად მეთოდებშია. მაგალითად, ინტეგრაციის აუცილებელ პირობებს შორის, სწორედ აფხაზური და რუსული ენების შესწავლა და აფხაზეთის ისტორიის კარგად ცოდნა არის მიჩნეული (Кварчелия 2014, 11-12) აღსანიშნავია, ასევე, რომ დე-ფაქტო აფხაზეთის ომბუდსმენი თავისი ანგარიშის გარკვეულ ადგილებში პრიმორდიალური აფხაზური ისტორიული ნარატივით ხელმძღვანელობს. კერძოდ, ომბუდსმენის 2018-2019 წლების ანგარიშში წერია, რომ გალის რაიონის მაცხოვრებლები აფხაზების შთამომავლები არიან. თუმცა პასპორტიზაციის პოლიტიკის გამო არ აქვთ შესაძლებლობა შეიცვალონ ეთნიკური კუთვნილება და დაიბრუნონ „ნამდვილი“ აფხაზური გვარები. ამგვარად, ანგარიშის მიხედვით, შეუძლებელია „ისტორიული სამართლიანობის“ აღდგენა, რომელსაც გალის რაიონის მაცხოვრებლები თავად ითხოვენ. მათ „საკუთარ თავზე იწვნიეს“ სტალინ-ბერიას პერიოდის ძალდატანებითი ასიმილაციური პოლიტიკა“. იქვე აღნიშნულია ისიც,

რომ ამ მიმართულებით იღვწის „სამურზაყანოელ აფხაზთა საბჭო“, რომელიც 2014 წელს ჩამოყალიბდა სამურზაყანოს აფხაზების ინტერესების დაცვისა და მათი აფხაზურ საზოგადოებაში სოციალური, ენობრივი, კულტურული და ეკონომიკური „ინტეგრაციის“ ხელშეწყობის მიზნით. საბჭომ „გამოავლინა“ დაახლოებით ხუთი ათასი ასიმილირებული ეთნიკური აფხაზი, რომელმაც აფხაზური გვარის და ეთნიკური კუთვნილების დაბრუნების სურვილი გამოთქვა (Ежегодный доклад 2019, 75).

გალი ქართულ საზოგადოებრივი დისკურსის პერიფერიული საკითხი ქართულ ნაციონალური ნარატივი აფხაზეთის ისტორიის რადიკალურად განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. გარდა იმისა, რომ აფხაზეთი საქართველოს ისტორიის, ქართული სახელმწიფოებრიობის და კულტურის განუყოფელი ნაწილად განიხილება, იქ ქართველების პირველმოსახლეობის საკითხი ეჭვქვეშ არ დგას. ქართველი ისტორიკოსების ერთ-ერთი მთავარი არგუმენტის თანახმად, ახ.წ. აღ. მე-17 საუკუნეში, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკური ცვლილებების შედეგად, „ნამდვილი“, ქართველურ ენებზე მოსაუბრე აფხაზების ადგილზე ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული, აფხაზურ-ადიღური მოდგმის მთიელი ტომები განსახლდნენ, მკვიდრი ქართული მოსახლეობა კი ეგრისის შიდა ტერიტორიაზე გადავიდა. დარჩენილი ქართული მოსახლეობა კი მოსულ ჩრდილო-კავკასიელ მთიელებში ასიმილირდა (ინგოროყვა, 1950, 129). რაც შეეხება ახლანდელ გალის რაიონს, მხოლოდ მე-17 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედში შეიძლება თვალი მივადევნოთ ეთნო-დემოგრაფიული პროცესების გააქტიურებას. კერძოდ, ამ პერიოდში ადიღურ-აფხაზური მოდგმის ჩრდილოკავკასიელი მთიელების პერმანენტული „მოძალების“ და დატრიალებული „ტრაგედიის შედეგად“ ჩნდება აფხაზური ეთნიკური ელემენტი ამ ტერიტორიაზე. ქართული მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა გადასახლებულიყო აფხაზეთიდან სამეგრელოს შიდა რაიონებისაკენ. თუმცა, ამ მიგრაციულმა პროცესებს, „ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთის ეთნიკური სურათი დიდად არ შეუცვლია და მკვიდრი მეგრული მოსახლეობაც ძირითადად ადგილზე დარჩა. თუმცა, აფხაზებმა შეძლეს სამთავროს საზღვრის ენგურამდე გადაწევა. მე-18 საუკუნის დასაწყისში ეს მხარე აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენელს მურზაყან შერვაშიძეს მემკვიდრეობით ერგო. სწორედ მის გამო დაერქვა ოდიშის სამთავროსგან მიტაცებულ ამ ტერიტორიას სამურზაყანო. მურზაყანის დროს, როდესაც შედარებით

მშვიდობიანობა იყო, ქართული მოსახლეობის ნაწილი უკან მობრუნდა ამგვარად, ქართველი ისტორიკოსები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ სამურზაყანის ტერიტორიაზე მეგრული მოსახლეობა სტაბილურად რჩებოდა (კვაშილავა 2021).

მაშინ როდესაც, აფხაზები რეალურად აკონტროლებენ ტერიტორიას და შესაბამისად, დამორჩილებულ ადგილობრივ მოსახლეობაზე პოლიტიკურთან ერთად კულტურულ და ეპისტემური ძალაუფლების რეალურ მექანიზმებს ფლობენ, ქართული ნაციონალური ნარატივი მხოლოდ არაოფიციალური, ფარული და ფრაგმენტული გზით არის წარმოდგენილი გალის მოსახლეობაში. აფხაზეთის, როგორც ქართული ეთნო-სივრცის დასაბუთების თუ კონსტრუირების ისტორიოგრაფიული „ფრონტის ხაზი“ (პაპასქირი 2016) ენგურზე გადის. კანონი ოკუპაციის შესახებ, დევნილი საზოგადოება, აფხაზეთის „ლეგიტიმური სტრუქტურები“, სოხუმის უნივერსიტეტი თბილისში, ყველაფერი წარსულის და მომავლის აფხაზეთის სამართლებრივი, პოლიტიკურად და სიმბოლურად აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის დასაბუთების სტრუქტურული, ინსტიტუციური და სისტემური ინფრასტრუქტურაა. ამასთან, აწმყო დროში აფხაზეთისგან ფიზიკური დისტანცირება მას ხელშესახებ, „სენსორულ“ შინაარსს აცლის. ოცდაათწლიანი დისტანცირება ქართულ საზოგადოებაში აფხაზეთის მიმართ აბსტრაქტულ დამოკიდებულებებს ასაზრდოებს. აფხაზეთი „დაკარგულ სამოთხეზე“ ნაციონალური სენტიმენტების ცარიელ მითოსურ აღმნიშვნელად (Barthes 1991) და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ლამის ესქატოლოგიურ სიმბოლოდ იქცა [„თუ დაგივიწყო შენ, სოხუმო!]. ეს ფუნდამენტური მიდგომა თუ განწყობა აისახება თბილისის პოლიტიკაში გალის რაიონის მოსახლეობის მიმართ. დანარჩენი აფხაზეთისგან განსხვავებით, გალი, ერთი შეხედვით, თითქოს უფრო მეტად შემოდის ქართული საზოგადოების თვალსაწიერში. გალი ადმინისტრაციულად ესაზღვრება ზუგდიდის რაიონს და მოსახლეობის უმრავლესობას ამჟამადაც ქართველები შეადგენენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გალელები პერიოდულად გვახსენებენ თავს მათი ეგზისტენციალური პრობლემებით, ქართული საზოგადოება ნაკლებად ფლობს ინფორმაციას მათზე. გალი, უკეთეს შემთხვევაში, პოლიტიკური და ისტორიული ინსტრუმენტალიზაციის საგანია და მომავალში „სამშობლოს წიაღში“ დაბრუნებული აფხაზეთის კოლექტიურ მოლოდინებს ასაზრდოებს. შესაბამისად, უმთავრესი ინტერესის საგანი ამ მხარის წარსული და მისი საქართველოსთან განუყოფლობის ისტორიოგრაფიული მტკიცებაა. რაიონის მოსახლეობის მრავალი აწმყო, „აქ და ახლა“ ყოფითი თუ

პოლიტიკური პრობლემები კი ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების მზერის და პრიორიტეტებს მიღმა რჩება. გალელების რეალური პრობლემები საკმარისზე მეტი აქვთ, მათ შორის, ჯანდაცვის პრობლემები, მიზერული სოციალური დახმარება და შემწეობა, გადაადგილების უფლების შეზღუდვა, აფხაზური ადმინისტრაციის მხრიდან ეთნიკური დისკრიმინაციაზე არასათანადო რეაგირება ქართული სახელმწიფოს მხრიდან და ა.შ.

გალელები ხშირად გამოხატავენ უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ მათი წარმოდგენებით, თბილისიც უპირატესობას ანიჭებს „ისედაც პრივილეგირებულ“ აფხაზებს და ნაკლებ ყურადღებას უთმობს არა მარტო აფხაზეთიდან დევნილებს, არამედ უშუალოდ გალში აფხაზური „აპარტიდოზმის“ პირობებში მცხოვრებ საკუთარ თანამემამულეებს. მაგალითად, მათ გულისწყრომას იწვევს ის ფაქტი, რომ ეთნიკური აფხაზები გარკვეული პროგრამების ფარგლებში უფასოდ მკურნალობენ საქართველოს საავადმყოფოებსა და კლინიკებში. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლების მიერ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ 2010 წლის სახელმწიფო სტრატეგია ითვალისწინებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის“ მხარდაჭერას. პრობლემა ის არის, რომ გალის თუ ახალგორის ქართული მოსახლეობა რეფერალური პროგრამით ვერ სარგებლობს; გალელები, როგორც საქართველოს მოქალაქეები საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში ჩაერთვნენ, თუმცა „რეფერალური პროგრამისგან“ განსხვავებით, „საყოველთაო დაზღვევა მკურნალობის სრულ დაფინანსებას არ გულისხმობს (ტურაშვილი და ბენდელიანი 2013, 5-9). შესაბამისად, გალელი ქართველებს აქვთ განცდა, რომ ისინი ორმაგად მარგინალიზებული არიან, როგორც სოხუმის, ასევე თბილისის მიერ. ცხადია, სამშვიდობო პროცესისთვის და ზოგადად ჰუმანური მიზნებით უმნიშვნელოვანესია აფხაზების საჭიროებების დანახვა და მათი მხარდაჭერა. ისეთი ტიპის პროგრამები, რომელიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ თუ სხვა არსებით პრობლემებს შეუმსუბუქებს აფხაზეთის მოსახლეობას, კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს. თუმცა მსგავსი პროგრამების პრიორიტეტებში აუცილებლად უნდა მოხვდნენ გალის მაცხოვრებლებიც. ზოგადად, სამთავრობო თუ არასამთავრობო სამშვიდობო ინიციატივებში და სხვადასხვა სახის პროექტებში გალის რაიონის ქართული მოსახლეობაზე ფოკუსირება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ეთნიკურ აფხაზებთან დიალოგი.

დასკვნა: ორმაგი მარგინალურობა?

ორმაგი მარგინალიზაციის და ფუნდამენტური სტრუქტურული ძალადობის და უთანასწორობის ფონზე გაღებებს თვითგამოხატვის და მით უფრო, რეზისტენტულობისთვის შესაძლებლობები და მექანიზმები არ აქვთ. ერთი მხრივ, გაღებები იძულებულები არიან შეეგუონ დომინანტური ჯგუფის, აფხაზების პოლიტიკურ რეჟიმს. მათ უპირობოდ უნდა აღიარონ საკუთარ სახლებში სტუმრის სტატუსი და მიიღონ „სამურზაყანოს“ მოსახლეობის წარსულის, აწმყოს თუ მომავლის იმგვარი აღწერა, რომელსაც აფხაზი ისტორიკოსები და იდეოლოგები ქმნიან. ცხადია, ნახევრად სამხედრო აფხაზური ადმინისტრაციის ქვეშ და რუსული არმიის ყოფნის პირობებში, ღიად უკმაყოფილების გამოხატვა წარმოუდგენელი და იმთავითვე განწირულია. ამგვარი დრამატული და შეიძლება ითქვას ტრაგიკული შემთხვევის ცოცხალი მაგალითია გაღელი ახალგაზრდას ი. ბებუას მიერ 2020 წ. 30 სექტემბერს აფხაზური დროშის დაწვა. „ფაქტის ამსახველ ვიდეოში ბებუა ამბობს, რომ დროშა შეგნებულად დაწვა, რადგან არ მოსწონს 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღის აფხაზეთში ზეიმით აღნიშვნა და „სურს ქართველებსა და აფხაზების ძმურად ყოფნა“ (სოციალური სამართლიანობის ცენტრი 2021).

მეორე მხრივ, ქართული საზოგადოებრივი კონიუნქტურაც არ ქმნის იმ სივრცეს, სადაც გაღებების ხმას შეისმენენ. გაღებებს აქვთ განცდა, რომ მათ წინაშე მდგა სოციალურ პრობლემებზე სათანადო რეაგირება არ ხდება. ამ საზოგადოებრივ ემპათიისგან მოკლებულ გარემოში, არის შემთხვევები, როდესაც გაღებები ქართული საზოგადოების ყურადღებას უაღრესად დრამატული და ტრაგიკული შემთხვევებით იქცევენ. ბოლოს ასეთი შემთხვევის დროს, კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციებისთვის თავის არიდების მიზნით, მდ. ენგურზე გადმოსვლისას ადიდებულ მდინარეში ოთხი ადამიანი დაიხრჩო (კახიშვილი, 2021). სამწუხაროდ, გაღებების რუტინული, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემები ქართულ საზოგადოების თვალსაწიერში, ჯერ-ჯერობით, პერიფერიულ ადგილს იკავებს.

ბიბლიოგრაფია

აფხაზეთში დაკავებული ირაკლი ბებუას ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 22 ივნისი, 2021. <https://socialjustice.org.ge/ka/products/afkhazetshi-dakavebuli-irakli-bebuas-janmrtelobas-safrtkhe-emukreba>

- კახიშვილი, ნინო. *ენგურზე მომხდარი ტრაგედია კარანტინს უკავშირდება* | რას ამბობენ გალელეები და ექსპერტები, 8 მაისი, 2021. <https://netgazeti.ge/news/533306/>
- ენგურზე მომხდარი ტრაგედიის გამო საქართველოში გლოვა ცხადდება*. 09 აპრილი, 2021. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31194676.html>
- ზურაბაშვილი, თორნიკე. 2016. *მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში*. პოლიტიკის დოკუმენტი. საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS) იანვარი, 2016, თბილისი.
- ინგოროყვა, პ. (1950). *გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*. ჟურნალი მნათობი, N.3, მარტი, (116-153). თბილისი: სახელგამი.
- კვაშილავა, კახა. 2011. *ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა - 1840 წელი*. თბილისი გამომცემლობა: „მერიდიანი“,
- ლორთქიფანიძე, მ. (1990). *აფხაზები და აფხაზეთი*. თბილისი. გამომცემლობა განათლება.
- პაპასქირი, ზ. (2016). *ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან*. ნაკვეთი II, 1917-1993. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
- რადიო თავისუფლება. 2021. *გალის სკოლებში ქართული ენის აკრძალვით განათლების სამინისტრო შემფოთებულა*. 16 სექტემბერი, 2021. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31463079.html>
- ტურაშვილი, მედეა და ბენდელიანი, ელიკო. 2013. *ხელმისაწვდომი ჯანდაცვა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის: მიღწევები და გამოწვევები*. თბილისი
- კალაქ გალს 86 წელი უსრულდება*, Livepress 17.07.2018 <https://www.livepress.ge/ap/tag/article/1-news/24181-qalaqgals86tseliusruldeba.html>
- Ambrosio, Thomas and William A. Lange. 2016. ‘The architecture of Annexation? Russia’s bilateral Agreements with South Ossetia and Abkhazia’. *Nationalities Papers* 44 (5): 673-693.
- Barthes, Roland. 1991. *Mythologies*. New York: The Noonday Press
- Blauvelt, T. (2014). ‘From words to action’. Nationality policy in Soviet Abkhazia (1921–1938), The making of modern Georgia, 1918–2012. In *The Making of Modern Georgia, 1918–2012*, edited by Stephen F. Jones, (pp. 232–262). Abingdon and New York: Routledge. <https://doi.org/10.4324/9781315818207-13>
- Bourdieu, Pierre. 1986. *Distinction*. 1st edition. London: Routledge.

- Etkind, Alexander. 2011. *Internal Colonization: Russia's Imperial Experience*. 1st edition. Cambridge: Polity.
- Fanon, F Fanon. 1963. *The wretched of the earth*. New York, NY: Groye Press.
- Foucault, Michel, Rabinow, Paul. 1984. *The Foucault Reader*. New York: Pantheon Books
- Galtung, Johan. 1971. "A Structural Theory of Imperialism." *Journal of Peace Research* 8 (2): 81–117.
- Gramsci, Antonio. 1971. *Selections from the Prison Notebooks*. London: London: Lawrence and Wishart.
- Hirsch, Francine. .2005. *Empire of Nations: Ethnographic Knowledge and the Making of the Soviet Union*. Cornell University Press.
- HRW [Human Rights Watch], *Living in Limbo: The Rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali District of Abkhazia* (New York, NY, 2011), <http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/georgia0711LR.pdf>.
- ICG [International Crisis Group], *Abkhazia: Deepening Dependence, Europe Report no. 202* (2010) Sukhumi/Tbilisi/Istanbul/London, <https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/caucasus/georgia/abkhazia-deepening-dependence>;
- Kabachnik, Peter. 2012. „Wounds that won't heal: Cartographic anxieties and the quest for territorial integrity in Georgia“. *Central Asian Survey*, 31(1), 45–60. <https://doi.org/10.1080/02634937.2012.647842>
- Kolstø, Pål.2006. "The Sustainability and Future of Unrecognized Quasi-states". *Journal of Peace Research*, 43 (6): 723-740.
- Martin, Terry. 2001. *The affirmative action empire. Nations and nationalism in the Soviet Union, 1923–1939*. Cambridge, MA.
- Spivak, Gayatri Chakravorty. 1985. "Can the Subaltern Speak?", *Wedge*, 7 (3): 120-130.
- Toal, Gerard. 2017. *Near Abroad: Putin, the West and the Contest over Ukraine and the Caucasus* (Illustrated edition). Oxford University Press.
- Toria, Malkhaz. 2020. "In Search of Ethnic Roots: Instrumentalisation of the History and Politics of Exclusion in Georgia's Breakaway Region of Abkhazia." *Euxeinos. Governance and Culture in the Black Sea Region*, Special Issue, The Instrumentalisation of the Past and Political, Political Mobilisation, edited by Cécile Druey and Eliane Fitzé, 10 (29): 47–63.
- Ачугба,Теймураз. 2010. *Этническая история абхазов XIX–XX вв. Этнополитические и миграционные аспекты*. Сухум.

Ежегодный доклад о деятельности Уполномоченного по правам человека в Республике Абхазия за 2018 – 2019 гг. 2019 год
<https://ombudsmanra.org/upload/iblock/158/1588f1a7fe9ccb552c204a002daccb2.pdf>

Кварчелия, Лиана. 2014. *Абхазия Вопросы гражданства и безопасности*. Сухум: Центр Гуманитарных Программ